დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობის" (მეოთხე დონე) დამატების შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სახელი, გვარი დიმიტრი ქარსელაძე

წევრები:

დარგის ექსპერტი ზაზა პაპიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22/03/2025 წლის N 320455 ბრძანების საფუძველზე, დაევალა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, "ელექტროობის" (მესამე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განახორციელოს ვიზიტი სსიპ -სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში 2025 წლის 3 აპრილს (მის: ქ. ბათუმი, რუსთაველის №53). ჯგუფმა შეადგინოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 3 აპრილს განხორციელდა სსიპ -სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში (მის: ქ. ბათუმი, რუსთაველის №53). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსები. დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომლებიც განახორციელებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი და დარგობრივი მოდულების სწავლებას . პროგრამის განმახორციელებლები ძირითადად არიან ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დარგის სპეციალისტები და აკადემიური პერსონალი. აგრეთვე პარტნიორი ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტები. მათი პირადი საქმეებს ექპერტები დაწვრილებით გაეცნენ. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელოს სასწავლო პროცესი, რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (A,B,C გარემო) შესაბამისად მოწყობილია. შენობის ვიზუალური დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს მის ხელთ არსებული ფართი, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს შეფერხების გარეშე, როგორც პროფესიული, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიმართულებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები გაწერილია ისე, რომ უმაღლესი და პროფესიული პროგრამების ერთობლივად განხორციელებას არ შეეშალოს ხელი . ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო იმ პარტნიორ ორგანიზაციებს რომლებსაც თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან. ესენია შპს „ენერგო პრო ჯორჯია „. შპს „ჩაქვი ასს“ და შპს „ამკა ენერჯი“ . ამასთან დაკავშირებით უშუალო ვიზიტები განხორციელდა შპს „ჩაქვი ასს“- ს როგორც მობილურ ასევე სტაციონალურ ლაბორატორიებში. აგრეთვე შპს „ ენერგო პრო ჯორჯია“-ს ერთ-ერთ ობიექტზე. ადგილობრივმა სპეციალისტებმა ექსპერტებს გააცნეს თვითოეული დანადგარის ტექნიკური მახასიათებლები და მათი შესაბამისობა დარგობრივი მოდულების მოთხოვნებთან.

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ეთანხმება დასკვნის პროექტებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს. რასაც სრულად იზიარებს ექსპერთთა ჯგუფი.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის ბრძანება N05-139 28.10 2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც იკვეთება პროგრამის საჭიროება ქვეყანაში/რეგიონში. ის თანხვედრაშია დაწესებულების, მისიასთან და შესაბამისად სტრატეგიულ განვითარებასთან რომელიც გულისხმობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დამატებას და განხორციელებას და პროგრამათა სპექტრის გაფართოვებას. მიზანშეწონილობის დასაბუთებაში დაწესებულებას მოკვლვეული აქვს ინფორმაცია. პროფესიული პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების პროცესის მართვის მიზნით შემუშავებულია და მოქმედებს ნორმატიული დოკუმენტი: „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“, დამტკიცებული საზღვაო აკადემიის რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით, რომელსაც საფუძვლად უდევს: საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, განათლების ხარისხის განვითარების შესაბამისი პროცედურები და საზღვაო აკადემიის ორგანიზაციული და ფუნდამენტური პროცედურები. პროგრამის დამატების დასაბუთებული ინიცირება შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე ხდება წერილობითი ფორმით - „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ელექტროობის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანმათლებლო სტანდარტით და ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში. ელექტროობის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საშუალო განათლება; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის რექტორი, რომლის უფლებამოსილება განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდებით

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სტუდენტთა კონტიგენტი განსაზღვრულია ნორმატიული დოკუმენტით - ,,პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი". ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტი განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმებით: ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის უზრუნველყოფის რესურსი და სასწავლო გარემოს მოდელების ((A, B, C) გამტარუნარიანობა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. დაწესებულებას გააჩნია მრავალფეროვანი რესურსი და მათი გამოყენების განრიგი. დაწესებულებას მემორანდუმის ფარგლებში, აქვს ურთიერთობა სხვადასხვა დაწესებულებებთან, ესენია შპს „ენერგო პრო ჯორჯია" . შპს „ჩაქვი ასს" და შპს „ამკა ენერჯი"

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტროობის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი და პროფესიული მოდულებითაა აგებული. საგანმანათლებლო პროგრამა არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფი საწყის ეტაპზე განსაზღვრავს პროგრამის დამატების მიზანშეწონილობას, პროგრამის ხელმძღვანელს, რაც რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით ფორმდება. შემუშავებულ პროგრამას ამტკიცებს საზღვაო აკადემიის რექტორი. ვიზიტის დროს, აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომი იყო ექსპერტებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,ელექტროობა“ , რომელიც ზუსტად იმეორებს პროფესიული საგანამანთლებლო სტანდარტის სახელწოდებას, შეესაბამება პროგრამის შინაარს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მისაღწევ შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. იგი სრულ შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან და დასაქმების სფეროსთან.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით. პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შესაბამისობაშია აღნიშნულ სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების წესი“: 2. ,,პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი“: 3.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება საგანმანათლებლო პროგრამა . 4. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი. 5. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება. 6. „ ელექტროობის საბაზო და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი № 3. 7. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებული რესურსით - ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის უზრუნველყოფის რესურსი და სასწავლო გარემოს მოდულების ((A, B, C) გამტარუნარიანობა. დაწესებულებას გააჩნია მაღალი დონის ადამიანური რესურსი, მრავალფეროვანი და მიზნობრივი მატერიალური რესურსი. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული სხვადასხვა მიზნობრივ დაწესებულებასთან . ესენია შპს „ენერგო პრო ჯორჯია“ . შპს „ჩაქვი ასს“ და შპს „ამკა ენერჯი“ . ამასთან დაკავშირებით უშუალო ვიზიტები განხორციელდა შპს „ჩაქვი ასს“- ს როგორც მობილურ ასევე სტაციონალურ ლაბორატორიებში. აგრეთვე შპს „ ენერგო პრო ჯორჯია“-ს ერთ-ერთ ობიექტზე. აღნიშნული ორგანიზაციები მზად არიან მიიღონ სტუდენტები და განავითარონ მათი პრაქტიკული უნარები პროგრამით გათვალისწინებული მოდულებისა და განრიგის მიხედვით. სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკულად დააკვირდნენ მიმდინარე ტექნიკურ პროცესებს. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს. ყველა პრქტიკული სივრცე როგორც ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ისე პარტნიორ ორგანიზაციებში აღჭურვილია პირველადი სამედიცინოო დახმარების ყუთით, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით (ცეცხლმაქრით და სხვა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატებით, შემოწმწბული დამიწების კონტურით, და დფერენციალურ დამცავი გამთიშველებით. სივრცეების ელექტრომომარაგებამომარაგება ხდება 220 v. 380ვ (3-ფაზა) ელექტრული ქსელით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას ჰყავს მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო ოდენობის პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი; მათი კვალიფიკაცია და განათლება შეესაბამება განსახორციელებელ პროგრამას. მათი განრიგი და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი განათლება და გამოცდილება მოთხოვნების შესაბამისია. განმახორციელები ძირითადად არიან ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დარგის სპეციალისტები და აკადემიური პერსონალი. აგრეთვე პარტნიორი ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტები. სასწავლო პროცესის მდგრადობას უზრუნველყოფს ის გარემოება რომ ზოგიერთი მოდულის განხორციელებისათვის გათვალისწინებულია ორი ან მეტი პროფესიული მასწავლებელი.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი და ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება.პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების კანონთან შესაბამისობა რეგულირდება შიდა ნორმატიული დოკუმენტით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და პასუხისმგებელობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს როგორც პრაქტიკული ასევე მრავალმხრივი პედაგოგიური გამოცდილება.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას აქვს მოწესრიგებული, ადაპტირებული, მოცულობითი ბიბლიოთეკა, სადაც სხვადასხვა ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად. ბიბლიოთეკა ითავსებს სასწავლო პროცესის მხარდამჭერ ფუნქციას. ბიბლიოთეკაში შექმნილია სივრცე, სადაც ნებისმოერი მზაობის თუ საჭიროების სტუდენტს შეუძლია იმუშაოს და მიიღოს სრული სერვისი მყუდრო და კომფორტულ გარემოში. მოდულით გათვალისწინებული სასწავლო რესურსით პროფესიულ სტუდენტს უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი, ასევე, თავისუფალი წვდომის რეჟიმში არსებული, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსები. პროფესიული მასწავლებლების წვდომას ისეთ საგანმანათლებლო რესურსებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ნორმატიული აქტების გამოყენებას, საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემის ავტორიზებული მომხმარებელის სტატუსით. აღნიშნული დასტურდება ხელშეკრულებასთან გათანაბრებული წერილობითი დოკუმენტით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სსსმ პირებს წვდომა აქვთ ბიბლიოთეკასთან, სასწავლო აუდიტორიებთან, ლაბორატორიებთან და პრაქტიკული სწავლების საამქროებთან; ბიბლიოთეკის პირველ სართულზე გამოყოფილია სივრცე, აღჭურვილი წიგნებით, კომპიუტერებით და ორგ. ტექნიკით, სადაც შშმ პირებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკის სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომსახურებით. გარემო ადაპტირებულია, რაც იძლევა საშუალებას, ნებისმიერი შესაძლებლობის სტუდენტმა მიიღოს მონაწილეობა სწავლების პროცესში, დაესწროს პრაქტიკულ მეცადინეობებს და დაიცვას საკუთარი და სხვისი უსაფრთხოება;

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფინანსების მართვის სამსახურის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტით განსაზღვრულია ფინანსური რესურსი, დადგენილი აქვს სტუდენტთა რენტაბელური რაოდენობა, შემოსავლების წყაროები, ხარჯები, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დანახარჯები და შემოსავლები, რაც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების რენტაბელობას და შედეგად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1.ინფორმაცია პროგრამის განხორციელების თვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ; 2. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი; 3. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან 4. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, პროგრამის განხორციელების მეთოდოლოგიიდან და ინტერვიუებიდან გამომდინარე ირკვევა, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა. ცვლილების განხორციელება რეგულირდება საზღვაო აკადემიაში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის თანახმად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

,, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების წესი“

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა კომპონენტი: მოდული, სწავლების ფორმა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება დატვირთვების სახეების მიხედვით და სხვ. გეგმა იძლევა სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ. განსაზღვრავს შედეგების დადასტურებისთვის საჭირო დროს, განმეორებითი შედეგის დადასტურებისთვის საჭირო შუალედს, ზოგადიდან პროფესიულ მოდულებზე გარდამავალ პერიოდს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცხრილების შედგენა, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, პრაქტიკული მეცადინეობების დაგეგმვა, დასაქმებული სტუდენტების ხელშეწყობა ხორციელდება სტუდენტთა ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით. პროცესში აქტიურად მონაწილეობს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. ინტერვიუებიდან ნათლად ირკვევა, რომ პერსონალს აქვს საკმაო გამოცდილება, რის შედეგადაც შესწევთ უნარი, შეადგინონ და მოარგონ განრიგი სტუდენტთა და დაწესებულების მოწინავე ინტერესებს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს დარგის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების გზით. აღნიშნული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება C გარემოში: ელექტროსამონტაჟო სახელოსნო; მაღალი ძაბვის ტექნიკის ლაბორატორია; ელექტროტექნიკის ლაბორატორია. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებლებისათვის საზღვაო აკადემია გეგმავს ტრენინგებს, ვორქშოპებს, პარტნიორ კოლეჯებთან ერთად ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრებს საუკეთესო ,პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით/მისი ჩართულობით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ელექტროობის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის თანახმად არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს, თუმცა პროფესიული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტზე დაფუძნებული სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე - რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგის მისაღწევად, ასევე გაცნობითი ხასიათის შეხვედრებისათვის გაფორმებულია მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, რომელშიც განსაზღვრული და გამიჯნულია მხარეთა უფლება-მოვალეობები პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებაში, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და სხვ

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ელექტროობა-ის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მიმდინარეობს C გარემოში - ელექტროსამონტაჟო სახელოსნო; მაღალი ძაბვის ლაბორატორიაში; ელექტროტექნიკის ლაბორატორიაში. სახელოსნოსა და ლაბორატორიებში ელექტროდანადგარებთან პრაქტიკული სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების ინსტრუქციები გაწერილია ნორმატიულ დოკუმენტში „პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“ მუხლი 4. - უსაფრთხოების ინსტრუქციები ელექტრო სამონტაჟო სასწავლო სახელოსნოში პრაქტიკული სამუშაოების წარმოებისას და ელექტროდანადგარებთან მუშაობისას. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის გამართული მუშაობა რეგულირდება "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" (მუხლი 5) შესაბამისად, სადაც გაწერილია შეფასების ადმინისტრირების, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, შერჩევისა და შემოწმების, შეფასების ვადების განსაზღვრის, შედეგის დადასტურების და განმეორებითი შეფასების პირობები. ასევე წესი განსაზღვრავს მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, მათი შენახვის ვადებსა და წესს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნულ პროცესს არეგულირებს ნორმატიული დოკუმენტი "ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია" ვერიფიკაცია ხდება შერჩევით, ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს პროცედურით დადგენილ რისკებს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით". (მუხლი 5). რეგულირდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების - შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების შენახვის ვადების დაცვა. შეფასების მტკიცებულებები მატერიალური სახითაა წარმოდგენილი და ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში შეფასების უწყისის გაფორმებიდან ზემოაღნიშნული წესით განსაზღვრული ვადით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დასრულების შემდეგ პროფესიული მასწავლებელი შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, ანალიზის საფუძველზე, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შედეგების შესახებ, აცნობს თავის მოსაზრებებს და სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პიროვნული თავისებურებებიდან და ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსხვავებულია მიდგომაც.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

14/05/2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: